

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა თურქული ფილოლოგია

ნელი ბოხუა

თურქული და აზერბაიჯანული ენების ურთიერთმიმართება

ნაშრომი შესრულებულია თურქული ფილოლოგიის მაგისტრის ხარისხის
მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი:

სრული პროფესორი მარია ჯიქია

თბილისი

2019

ანოტაცია

საუკუნეების მანძილზე თურქეთის რესპუბლიკა (მანამდე ოსმალეთის იმპერია) კავკასიის რეგიონში თამაშობდა მნიშვნელოვან პოლიტიკურ და კულტურულ როლს. მას მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა აზერბაიჯანთან, რაც დღემდე გრძელდება აქტიურად და ეტაპობრივად უფრო და უფრო ვითარდება. დიპლომატიურ ურთიერთობებს ყოველთვის ახლავდა და დღემდე ახლავს ენობრივი კავშირები და ურთიერთგეგავლენები. შესაბამისად, აღნიშნული კვლევის მიზანი არის დადგენა ორი ქვეყნის ენებს შორის მსგავსებისა და განსხვავების. ნაშრომში განხილულია ფონეტიკური, მორფოლოგიური და ორთოგრაფიული საკითხები. ასევე გარკვეული თავი ეთმობა საერთო ფუძის მქონე ზმნებს, მათ განხილვა-გარჩევას.

კიდევ ერთი შედეგი, რაც მივიღეთ მოცემული კვლევიდან არის ის, რომ ძირითადი მნიშვნელობები თურქულის ორივე ვარიანტში არის იდენტური.

თურქეთსა და აზერბაიჯანს შორის ერთსაუკუნოვანი წყვეტა გახდა მათი ენებისრიგი ფონეტიკური, მორფოლოგიური და სემანტიკური სხვაობების მიზეზი. დღესდღეობით თურქეთსა და აზერბაიჯანს შორის სულ უფრო მყარდება კულტურული კავშირები. ვიმედოვნებთ, რომ ეს დაახლოება აისახება ამ ორ ენაზეც.

კვლევა აგებულია თურქულ, რუსულ, ინგლისურ და აზერბაიჯანულ მასალებზე.

ნაშრომი შედგება 3 თავისგან და რამდენიმე ქვეთავისგან.

ნაშრომი საინტერესოა ყველა იმ მკითხველისთვის ვინც დაინტერესებული არის აღნიშნული საკითხის კვლევით და ასევე დიდ დახმარებას გაუწევს მკითხველთა იმ ჯგუფს, რომელსაც ცოდნის გაღრმავება სურს ზემოთ მოცემულ საკითხებში.

Annotation

Over the centuries, the Republic of Turkey (formerly the Ottoman Empire) played an important political and cultural role in the Caucasus region. It had a close relationship with Azerbaijan, which continues to be active and gradually evolving gradually. Diplomatic relations have always been present and are still linguistic and interconnected. Consequently, the aim of the research is to determine the similarities and differences between the languages of the two countries. The work deals with phonetic, morphological and orthographic issues. There are also some chapters that have a common base of verbs, and they discuss and disclose. One more outcome we have received from this study is that the underlying meaning in both versions of Turkish is identical. A single-century break between Turkey and Azerbaijan became the cause of phonetic, morphological and semantic differences in their languages. Nowadays, Turkey and Azerbaijan have more cultural connections. We hope that this approximation is reflected in these two languages.

This study is built on Turkish, Russian, English and Azeri materials.

This work consists of 3 chapters and several subjects.

This work is interesting for all the readers who are interested in researching this issue and will greatly help a group of readers who want to deepen knowledge in the above issues.

სარჩევი

შესავალი	5
თავი 1. ზმნა აზერბაიჯანულ და თურქულ ენებში	10
1.1 აზერბაიჯანულ და თურქულ ენებში განსხვავებული მნიშვნელობის ზმნები:	11
1.2 ზმნების შედარებითი ანალიზი	17
თავი 2. აზერბაიჯანულ თურქულში ზმნის კონიუგაცია (უღლება)	26
2.1. აზერბაიჯანის თურქულში ზმნის კონიუგაციის ზოგიერთი სერიული მახასიათებლები.	28
თავი 3. თურქულ და აზერბაიჯანულ ენებში ფონეტიკური, მორფოლოგიური და სემანტიკური განსხვავებები	38
3.1. თურქულ აზერბაიჯანულ ენაში მორფოლოგიური ცნობები	41
3.2. ათი ფონეტიკური ნიშანი	44
დასკვნა	48
გამოყენებული ლიტერატურის სია	50

შესავალი

ენების გარკვეულ ჯგუფს გააჩნდათ საერთო ფესვი, რაც დროთა განმავლობაში, განსაკუთრებით გეოგრაფიული არეალების გადანაწილების შედეგად ისინი განსხვავებულ ერთეულებად ჩამოყალიბდნენ და ახალი მახასიათებლები შეიძინეს.

თურქული ენაც სწორედ ენათა ამგვარ ჯგუფს მიეკუთვნება. სფეროს ექსპერტების სხვადასხვა მოსაზრებათა მიხედვით თურქული ენის სამშობლო შუა აზიაა. სხვათა მიხედვით კი იგი ალთაის რეგიონში წარმოიქმნა. თურქული ენა აღნიშნულ რეგიონში წარმოიქმნა და შემდგომ დასავლეთის, სამხრეთისა და ჩრდილოეთის მიმართულებებით გავრცელდა. ენათმეცნიერები გამოდიან, რა აღნიშნული ისტორიული მოცემულობიდან, ამტკიცებენ, რომ თურქული ენა შედგება მრავალი ჯგუფისაგან, რაც წარმოადგენს თურქულენოვანი ხალხების მომთაბარეობის შედეგს. ეს ჯგუფები იყოფა ჩუვაშურ, იაკუტურ, ყირგიზულ და სხვა ბევრ ქვეჯგუფად, რომლებიც განსხვავებულ ენებად ჩამოყალიბდნენ თავიანთი არსებობის მანძილზე. დღესდღეობით მსოფლიოში არსებობს თურქული ენის ორმოცზე მეტი განშტოება. უნდა აღინიშნოს, რომ თავისი წარმოშობის მომენტში თურქული ენა არ წარმოადგენდა თავის თავში დიალექტებად და ჯგუფებად დაყოფილ ენობრივ ერთეულს. მისი გავრცელების არეალი გახლდათ შუა აზია. როდესაც თურქულენოვანმა ხალხებმა დაიწყეს აღნიშნული გეოგრაფიული არეალის დატოვება, თურქულმა ენამაც განიცადა გარკვეული ცვლილებები. დროის განმავლობაში წარმოშობილ ენობრივ განსხვავებებს ბევრი სოციალური და კულტურული საბაბი გააჩნიათ. მათგან ერთერთია ანბანის ცვლილება.

XI საუკუნიდან მოყოლებული თურქულენოვანი ტომები მუდმივი მომთაბარეობის რეჟიმში იმყოფებოდნენ. თურქულენოვან ხალხთა ნაწილი დარჩა შუა აზიაში, ნაწილი კი ჩრდილოეთისა და დასავლეთის მიმართულებით გადასახლდა. მათი ერთი განშტოება დასახლდა კავკასიაში, სხვა კი სამხრეთით ჩავიდა, ერთიკ კი ანატოლიაში და იქ დასახლდა. ამგვარად, სხვადასხვა პერიოდებში თურქულენოვანი ხალხები დასახლდნენ ირანში, აზერბაიჯანში, კავკასიაში, სირიაში, ერაყში, ანატოლიაში და (ყოფილი) ბიზანტიის

ტერიტორიაზე. იმ მომენტამდე კი თურქული გახლდათ საერთო დამწერლობის მქონე ენა, თუმცა გადასახლებების შედეგად სახეზე გვქონდა რიგი ცვლილებები დამწერლობაში და იგი (თურქული) დაიყო განსხვავებულ ჯგუფებად. თუმცა, დამწერლობის მქონე ენებად ყველა დიალექტი ვერ ჩამოყალიბდა და ასეთები მხოლოდ დამწერლობის არ-მქონე განშტოებებად შემოგვრჩა დღემდე. ზოგიერთი დიალექტი კი ჩამოყალიბდა როგორც დამწერლობის მქონე ენები და ასეთებად მოაღწიეს დღემდე. ისინიც ერთმანეთისგან გარკვეულ განსხვავებებს აჩვენებენ, მაგალითად, ფონეტიკური და მორფოლოგიური თვალსაზრისებით. XIII საუკუნიდან მოყოლებული თურქული ენა ორი განსხვავებული დამწერლობის მქონე ენას წარმოადგენს. ანატოლიაში წარმოქმნილი ამ მეორე სახის დამწერლობის ფესვებს რიგ პოლიტიკურ და გეოგრაფიულ მიზეზებს უკავშირებენ. შუა აზიიდან დასავლეთის მიმართულებით დანაცბული მასობრივი გადასახლების შედეგად ანატოლიაში და მოგვიანებით აზერბაიჯანში და სხვა თურქულ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებში თურქულენოვან ხალხთა ოლუბური ტომი დასახლდა, რომელიც გარკვეულწილად შეერია კიდევ ადგილობრივ მოსახლეობებს. შესაბამისად, ხსენებულ არეალებში თურქული ენის განშტოებების ჩამოყალიბებაში ოლუბური დიალექტის წვლილი ერთობ დიდია. თურქულის დასავლურ დიალექტად წოდებულმა ოლუბურმა განშტოებამ დასაბამი დაუდო თანამედროვე თურქულ ენას.

თურქულენოვან ხალხთა მიერ ისლამის მიღება თურქული ენის განვითარების მხრივ მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს.

XIX საუკუნეში აზერბაიჯანისა და თურქმენეთის რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლის, ოსმალეთის მიერ ბალკანეთზე კონტროლის დაკარგვისა და საბოლოოდ ოსმალეთის იმპერიის დაშლის შედეგად წარმოიქმნა თურქული ენის დასავლური დიალექტი, თანამედროვე თურქეთის თურქული, აზერბაიჯანის თურქული, თურქმენული თურქული, გაგაუბური თურქული - ოთხი ძირითადი ენობრივი ჯგუფი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აზერბაიჯანული ენა მიეკუთვნება სამხრეთ-დასავლურ ჯგუფს. (თურქული, აზერბაიჯანული, თურქმენული, გაგაოზური, ყირიმის თათრული.)

აზერბაიჯანული ენა ორი ძირითადი ტალღის ყივჩაღური და ოლუზური ტომებისაგან წარმოიშვა. ძველი მონაცემების მიხედვით აზერბაიჯანულ ენაზე მოლაპარაკეთა რაოდენობა შეადგენდა 20 მილიონ ადამიანს. აზერბაიჯანულად საუბრობენ დაღესტანში, აზერბაიჯანში, ირანში, სომხეთში, ერაყში, თურქეთში.

მიუხედავად იმისა, რომ თითოეული მათგანი დამწერლობის მქონე ენაა, მათი განვითარება განსხვავებულად მოხდა. ყოველივე ამის მიზეზთაგანია როგორც რუსული გავლენა, ასევე ანბანის ცვლილებები და ამის შედეგად თურქელის ხსენებულ განშტოებებს შორის რიგი ცვლილებების წარმოშობა. აღნიშნულ დაყოფაში დიდი წვლილი მიუძღვის რუსულის გავლენას რიგ თურქულ ენებზე.

XX საუკუნის დასაწყისამდე ზოგადად თურქულ ენას ერთი საერთო დამწერლობა გააჩნდა. საუკუნის დასაწყისში კი რიგი პოლიტიკური მიზეზების გამო თურქული თავის თავში დაიყო და ერთი საერთო ენის დიალექტები ცალკეულ ენებად წარმოჩინდა. დროთა განმავლობაში ამ დიალექტთა შორის არსებული სხვაობები კიდევ უფრო გაიზარდა და თითოეულ მათგანს ცალკეული ანბანი მიესადაგა. მიზანი გახლდათ დიალექტური სხვაობის მქონე საერთო ენობრივი ერთეულების განსხვავებულ (დამწერლობის მქონე) ენებად დაყოფა.

მიუხედავად ამგვარი მცდელობებისა თურქულმა ენამ მაინც შეინარჩუნა საერთო ენობრივი ბაზისი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა წნეხის ქვეშ ცხოვრება მოუწია 150 მილიონზე მეტ თურქულენოვან ეთნოსს, მათ არ დაივიწყეს მშობლიური თურქული ენა, თავიანთი დიალექტები და კილო-კავები რომლებზეც ისინი ლიტერატურულ ნაწარმოებებსაც კი ქმნიდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ იყო მცდელობა თურქელის განშტოებების განსხვავებულ ენებად წარმოჩენისა და მათთვის დამწერლობების მისადაგებისა, ისინი დღესდღეობით მაინც საერთო ფუძის მქონე ერთი ენის განშტოებებია.

თურქული ენა უზარმაზარ გეოგრაფიულ არეალზეა გავრცელებული და თურქულენოვან ხალხებს შორის მნიშვნელოვანი პოლიტიკური და გეოგრაფიული განსხვავებები არსებობს, თუმცა მან მაინც შეძლო საერთო ენის სახით დღემდე მოღწევა.

განსხვავებულ არეალში და მმართველობითი სისტემების ქვეშ მცხოვრებ თურქულ ეთნოსებს გააჩნიათ განსხვავებული დამწერლობები, მაგრამ მათ შორის, განსაკუთრებით კი დასავლურ და ოღუზურ დიალექტებს შორის განსხვავება არცთუ ისე დიდია. ამის პარალელურად, არსებობდა გარედან შემოსული უარყოფითი ზეგავლენები, მაგრამ დასავლურ თურქულში შემავალ დიალექტებზე მოსაუბრე თურქ ეთნოსებს არ უჭირდათ ურთიერთგაცება.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ დროითი და სივრცითი დაშორებებიდან გამომდინარე არსებობს რიგი განსხვავებებიც, თუმცა ეს ფაქტორები ვერ ცვლიან საერთო სურათს.

უნდა აღინიშნოს, რომ დასავლური თურქულის ორ დიდ და ისტორიულ განშტოება - თურქეთის თურქულსა და აზერბაიჯანულ თურქულს შორის წარმოიშვა რიგი ფონეტიკური და მორფოლოგიური განსხვავებები. ამ სხვაობათა უმთავრესი მიზეზი გახლავთ ისტორიის გარკვეულ ეტაპზე მათ შორის კომუნიკაციის შეწყვეტა.

აღნიშნულ ორ დიალექტს შორის არსებობს ფონეტიკური, მორფოლოგიური და სემანტიკური განსხვავებები, რაც კვლევის ფართო არეალს მოიცავს. ჩემი სამეცნიერო ხელმძღვანელის მითითებით ყურადღება გავამახვილე ზმნათა ნაწილზე და შევეცადე მათ შორის შინაარსობრივი განსხვავებების გამოვლენას. ამ განსხვავებათა უმთავრესი მიზეზებიდან ერთერთად ჩვენ მივიჩნევთ აღნიშნულ ორ დიალექტს შორის კომუნიკაციის არარსებობას. კიდევ ერთი მიზეზია სხვა ენების გავლენის ქვეშ ყოფნა. გარკვეულ პრობლემად გვესახება ის ფაქტი, რომ თურქეთის თურქულში გამოყენებული ზმნების სემანტიკური მრავალფეროვნება არ გვხვდება აზერბაიჯანულ თურქულში არსებულ იდენტურ ზმნებში და პირიქით. ამგვარი განსხვავებები ორ დიალექტს შორის ისტორიულად განპირობებულია თუმცა მეორეს მხრივ, თარგმანის მეშვეობით რიგ შემთხვევებში სახეზეა მნიშვნელობათა გაფართოვებაც.

მოცემულ ნაშრომში შერჩეულ და გამოვლენილ იქნა რამდენიმე ზმნა. ზმნები შეირჩა ანბანური წყობის მიხედვით. მეტი ყურადღება დაეთმო დიდი სემანტიკური სხვაობის მქონე ზმნებს. მათ შორის არის მონღოლური ფუძის მქონე ზმნებიც. ერთი ზმნა სპარსული წარმოშობისაა (*danişten* - თათბირი), მეორე კი თუვალური დიალექტისა (*kayırmak* - მხარდაჭერა). ზმნათა უმრავლესობა თურქული წარმოშობისაა. სიტყვათაგან და

სხვადასხვა ტექსტებიდან შერჩეული ზმნები ცალკე იქნა დალაგებული. დადგინდა იქნა მათი მნიშვნელობები, გამოვლენილ იქნა ორ დიალექტში გამოყენებული ერთი და იგივე ზმნები და მაგალითების მოყვანით მათ შორის სემანტიკური განსხვავებები. გამოკვლევულ იქნა მათი სტრუქტურები, ფუძეები, დიალექტებში მათი გამოყენება. დიალექტების/კილო-კავების დონეზე მათ შესწავლას თავისი მიზები ჰქონდა. ეს გახლდათ ორივე დიალექტის კილო-კავებში შემორჩენილი საერთო მნიშვნელობების გამოვლენა. კვლევის პროცესში საჭირო გახდა ზმნების ფუძეების შესწავლაც.

აქ უნდა აღინიშნოს ერთი დეტალი, აზერბაიჯანულის ლექსიკონში თავების დასაწყისში ზმნები არ არის მოცემული ბრუნვის სუფიქსებთან ერთად ხოლო თურქულის ლექსიკონში კი ზმნებს თან დართული აქვს შესაბამისი ბრუნვის სუფიქსებიც. აღნიშნულმა დეტალმა გააადვილა კვლევის პროცესი.

დღემდე თურქულ ენებში არსებულ ზმნებზე მრავალი სტატია თუ ნაშრომი დაინერა, მოპოვებულია დიდი ოდენობით მასალა, თუმცა, არ ჩატარებულა საკმარისი სამუშაო ზმნათა მნიშვნელობებში არსებულ განსხვავებებზე და მათ მიზებებზე.

ტექსტის წაკითხვის გაადვილების მიზნით გამოვიყენეთ თურქულისა (TT.) და აზერბაიჯანული (AzT.) აბრევიატურები.

თავი 1

ზმნააზერბაიჯანულდათურქულენებში

როგორც თურქეთის თურქულში, ასევე აზერბაიჯანულ თურქულშიც ზმნები გამოხატავენ მოქმედებას. ორივე დიალექტში ზმნების უმრავლესობა თურქული წარმოშობისაა. მცირედი რაოდენობით გვხვდება უცხოური ფუძის მქონე ზმნები. ისეთი მკვლევარები, როგორებიც არიან გ. რამსტელი, მ. რასანენი, ნ. პოპვი, ვ. რადლოფი ამტკიცებენ, რომ რიგი ზმნებისა მონღოლური წარმოსობისაა. მაგ., ზმნა *bastırmak* (დაჭერა, დაწნეხვა) მოდის მონღოლური *basu*-დან (დაგდება, გაჭყლეთა); *dikmek* (კერვა) - მოდის ზმნიდან *čike<tike* (სწორი, მწორად მდგარი); *gevşemek* (შერბილება) - წარმოქმნილია მონღოლური *kev* (ღეჭვა)-დან; ზმნა *koşmak* (სირბილი) წარმოქმნილია მონღოლური *xoli, xolbo*-დან (მორევა, არევა); *ötmek* (ჭიკჭიკი) წარმოქმნა ზმნიდან *öçi<öti* (თქმა, საუბარი, ცნობის მიცემა); *salmak* (გაშვება, გათავისუფლება) მოდის ზმნა *salajı* (დაბეგვილი)-დან; *üzmek* (წყენინება, გულის ტკენა) - *uru/urax* (მონწყვეტა, აგლეჯა, დაგლეჯა)-დან; ზმნა *danışmak* - სპარსული ფუძის მქონე ზმნა: *danişten* (ცოდნა); *kayırmak* (მხარდაჭერა) - თუვალური დიალექტის ზმნა, წარმოქმნილია ზმნა *hayırğa*-დან.

შემდეგი ზმნები კი თურქული წარმოშობისაა: *Aparmak* (დაშორება, წაღება), *atışmak* (ჩხუბი), *aldırmak* (წყენა), *azmak* (აღელვება), *aktarmak* (გადაცემა), *çapalamak* (ამოთხრა, ქექვა), *çatmak* (დარტყმა, გალანღვრა), *dayanmak* (მიყრდნობა), *Danmak* (უარყოფა), *danlamak* (განცვიფრება), *dermek* (მოგროვება), *değınmek* (შეხება), *itmek* (მინოლა), *işlemek* (დამუშავება), *kışkırtmak* (წაქეზება), *gütmek* (მართვა), *kayıtmak* (დაბრუნება),

Kaytarmak (გამოტოვება, გადახტომა), *kurtarmak* (გადარჩენა, შენახვა), *okşamak* (მოფერება), *saklamak* (დამალვა), *sallamak* (მოქნევა), *tapmak* (გალმერთობა), *tartmak* (ანონვა), *tartışmak* (კამათი), *Tiksinmek* (შეზიზღება), *uğramak* (შევლა), *ulamak* (კავშირი, დაკავშირება), *ulaşmak* (მიღწევა).

1.1 აზერბაიჯანულდათურქულენებშიგანსხვავებულიმნიშვნელობისზმნები:

საერთო ზმნათა რიცხვი, რომლებიც გამოიყენება როგორც თურქეთის თურქულში და ასევე აზერბაიჯანულ თურქულში და გააჩნიათ განსხვავებული მნიშვნელობები, შეადგენს 36-ს. ესენია:

Atışmak (ჩხუბი), *aldırmak* (წყენა), *azmak* (აღელვება), *aktarmak* (გადაცემა), *bastırmak* (დაჭერა, დაწნეხვა), *çapalamak* (ქექვა), *çatmak* (დარტყმა, გალანღვრა), *danışmak* (თათბირი, საუბარი), *dayanmak* (მიყრდნობა), *değınmek* (შეხება), *dikmek* (დარგვა, გაკერვა), *düşmek* (დაცემა, დავარდნა), *itmek* (კვრა), *işlemek* (გაკეთება), *kıskırtmak* (პროვოკაცია), *gevşemek* (მოშვება, მოღუნება), *güdmek* (მართვა, გაძღოლა), *gözlemek* (თვალთვალი, ყურება), *güvenmek* (ნდობა), *kayırmak* (დაცვა), *koşmak* (სირბილი), *kurtarmak* (გადარჩენა), *okşamak* (მოფერება), *ötmek* (ჭიკჭიკი), *saklamak* (შენახვა, დამალვა), *salmak* (გაშვება, გათავისუფლება), *Sallamak* (მოქნევა), *tapmak* (გალმერთება), *tartmak* (ანონვა), *tartışmak* (კამათი), *tiksinmek* (ზიზლი), *uğramak* (შევლა), *ulamak* (კავშირი), *ulaşmak* (მიღწევა), *üzmek* (წყენა), *yapmak* (გაკეთება).

აზერბაიჯანულ თურქულსა და თურქეთის თურქულს შორის ფონეტიკური თვალსაზრისით ნაწილობრივ განსხვავებათა მქონე ზმნებია:

თურქული აზერბაიჯანული

k/q -ს ცვლილება: *kurtarmak*
qurtarmak

t/d -ს ცვლილება: *bastırmak* *basdırmak*

t/d -ს ცვლილება: *gütmek* *güdmek*

t/d -ს ცვლილება: *tartmak* *dartmak*

t/d -ს ცვლილება: *tartışmak* *dartışmak*

t/d -ს ცვლილება: *tiksinmek* *dikisinmek*

d/t-ს ცვლილება: *dikmek* *tikmek*

ğ/y -ს ცვლილება: *değınmek* *deyinmek*

e/ö -ს ცვლილება: *gevşemek* *gövşemek*

k/x(h) -ს ცვლილება: *aktarmak* *axtarmak*

k/x(h) -ს ცვლილება: *okşamak* *oxşamak*

k/q -ს ცვლილება: *koşmak* *qoşmak*

k/q -ს ცვლილება: *kışkırtmak* *qışkırtmak*

k/q -ს ცვლილება: *kaytarmak* *qaytarmak*

k/q -ს ცვლილება: *kayıtmak* *qayıtmak*

k/q -ს ცვლილება: *kayırmak* *qayırmak*

k/x(h) -ს ცვლილება: *saklamak* *saxlamak*

თურქეთის თურქულსა და აზერბაიჯანულ თურქულს შორის ფონეტიკური თვალსაზრისით განსხვავებების არმქონე ზმნები ამ სიაში არ იქნა შეტანილი. როგორც ვხედავთ ზმნებიდან ფონეტიკური განსხვავება ფიქსირდება 17 ზმნაში. მიუხედავად რიგი ფონეტიკური სხვაობებისა თურქულსა და აზერბაიჯანულს შორის, ფორმის მიხედვით აღნიშნული ზმნები ერთმანეთის იდენტურია. სხვაობა თავს იჩენს ამ ზმნების მნიშვნელობების ერთმანეთთან შედარებისას.

იდენტურ ზმნებს შორის მნიშვნელობებში არსებული განსხვავებული მნიშვნელობების მთავარ მიზეზად შეიძლება მათ შორის კომუნიკაციის არარსებობა დასახელდეს. კიდევ ერთი მიზეზი ამისა არის ორი დიალექტის გავრცელების არეალებს შორის გეოგრაფიული დაშორება. ამასვე შეიძლება დაემატოს უცხო კულტურების გავლენის ქვეშ ყოფნაც. როგორც ზემოთ აღინიშნა, საერთო ენობრივ ჯგუფში შესაძლებელია განსხვავებულ განშტოებათა არსებობა. ასე, მაგალითად, ანატოლიის მიმართულებით განხორციელებული გადასახლებები წარმოადგენს აზერბაიჯანის ეთნიკური წყობის წარმომშობ ფაქტორს. როგორც უკვე ვაჩვენეთ, ორ ენობრივ ჯგუფს შორის არსებული ფონეტიკური და სტრუქტურული განსხვავებები სახეზეა ზმნების შედარებისას. მნიშვნელობათა გაფართოვება და მათი შემცირება, ან ჯგუფებს შორის წარმოქმნილი სემანტიკური განსხვავებები გახდა ამ ორი დიალექტის ერთმანეთისგან ნაწილობრივ დაშორების მიზეზი. ორ დიალექტს შორის განსხვავებები ასევე თავს იჩენს მახვილებსა და ინტონაციებშიც.

სემანტიკური განსხვავებები რიგ მაგალითებში საკმაოდ დიდია. მაგალითად, აზერბაიჯანის თურქულში გამოიყენებული ზმნა *bastırmak* (ჩარჭობა, ჩასმა, დაჭერა) თურქეთის თურქულში გამოიყენება იმავე მნიშვნელობით. ეს მნიშვნელობა არ ფიქსირდება ანატოლიურ კილო-კავებში, ისევე როგორც არ გამოიყენებოდა ძველ დამწერლობის ძეგლებშიც. ამის მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ ზმნამ დროთა განმავლობაში შეიძინა ეს მნიშვნელობა ან შესაძლებელია იგი იყოს უცხოური წარმოშობისა.

ასევე, აზერბაიჯანის თურქულში ზმნა *dikmek* (დასმა, დარჯობა, დარგვა) თურქეთის თურქულში ფუძის მიხედვით გამოიყენება *სწორად დგომის* მნიშვნელობით. აზერბაიჯანულში იგივე ზმნა გამოიხატება ფრაზით 'dik durmak' (სწორად დგომა).

„ფორმის მიხედვით კიდევ ერთი იდენტური ზმნაა *kaytarmak* (უსაქმურობა). აზერბაიჯანის თურქულში ამ ზმნას გააჩნია შემდეგი მნიშვნელობა: უკან დაბრუნება, დაბრუნება.“
[Derleme sözlüğü VIII c, s2708]

ლიტერატურულ თურქულში ეს ზმნა იხმარება “ბრუნვის, დატრიალების“ მნიშვნელობით, თუმცა აღნიშნული მნიშვნელობა დროთა განმავლობაში მივიწყებას მიეცა და ხალხურ ენაში ხმარებაში შემორჩა ზემოთ მოყვანილი მნიშვნელობით.

კიდევ ერთი ზმნა, რომელსაც ორივე დიალექტში განსხვავებული მნიშვნელობა გააჩნია, არის *okşamak* (მოფერება). ფუძისეული მნიშვნელობით (მსგავსება) დღემდე გამოიყენება აზერბაიჯანის თურქულში. თურქეთის თურქულშიც აღნიშნული ზმნა იმავე მნიშვნელობით გამოიყენებოდა. დღეს კი წერილობით ენაში განსხვავებული მნიშვნელობა შეიძინა (მოფერება). ზმნის ფუძისეული მნიშვნელობა ასევე გამოიყენება უიგურულ დიალექტში (Uyg. *oqşa, oyşa-ähneln*; T.T.W50.).

დღეს ქორქეთის ეპოსში ზმნა *okşamak* გამოიყენება “მოფერება, მოსიყვარულება, სულის მიცემის“ მნიშვნელობით:

“*Yirmidört boyınohşayan Deli Tundayetdi.*¹ დივანის უანრში ზმნა *okşamak* გამოიყენება “დამალვა, შეთამაშების, მსგავსების“ მნიშვნელობით.”¹ [M.Ergin, Dede Korkut, Ankara 1964, s199]

“დღესდღეობით თურქეთის თურქულის წერილობით ენაში აღნიშნული მნიშვნელობა დაიკარგა, თუმცა ანატოლიის რეგიონის მარდინის რეგიონის კილო-კავში კვლავ ხმარებაშია.”²[Derleme sözlüğü IX c, s3273]

თანამედროვე თურქულში ზმნის მნიშვნელობა შემცირდა და მხოლოდ “მოფერების“ კონტექსტში გამოიყენება.

1 MüharemErgin, *DedeKorkutKitabımetin-sözlük*, Ankara 1964 s.199.

2. Derleme sözlüğü IX c, s3273

3. E.V.Sevortyan, *EtimoloģeskiSlovarTürkskixYazıkov*, Moskva1974, s.622

1. “ზმნა *üzmek* ძველ თურქულში გამოიყენებოდა “გატეხვა, გაჭრა“-ს მნიშვნელობით. მისი ფუძისეული მნიშვნელობა ე.ვ. სევორტიანის ეტიმოლოგიურ ლექსიკონში განმარტებულია როგორც “გატეხვა, გასრესა“.³

[E.V.Sevortyan,*EtimologiçeskiSlovarTürkskixYazıkov*, Moskva1974, s.622]

მაგალითად:

Yinçgeeriklig üzgeliuçuz - inceikenkırmasıkolay (სანამ წვრილია, გატეხვა ადვილია),*Ünüminıdıüzmetinkıkırabartım -Sesimihiç kesmedenbağırarakyürüdüm* (გზა ყვირილის შეუწყვეტლად გავაგრძელე). დივანის უანრში ზმნა გამოიყენება შემდეგი მნიშვნელობით: “თოკისა და მისდაგვარი რამეების გაჭრა“ - *Olyıpüzdı.Oipikesdi* (მან თოკი გაჭრა).

“ძველ ანატოლიურ თურქულში ზმნები *kırmak* - გატეხვა(*İşkname1739*);*kesmek* - გაჭრა (*Salatınnames.98*); *koparmak* - მოკლეთა”[*M.Ergin, D.Korkut,s.275-6*] როგორც წესი *üzmek* ზმნის მნიშვნელობით გამოიყენებოდა. სხვა თურქულ დიალექტებში კი მრავალფეროვანი მნიშვნელობით გამოიყენებოდა.

აზერბაიჯანის თურქულში ზმნა *üzmek* გამოიყენება “მონყვეტა, მოჭრის“ მნიშვნელობით. აღნიშნული ზმნა აზერბაიჯანულში ინარჩუნებს თავის ფუძისეულ მნიშვნელობას, მაშინ როდესაც თურქეთის თურქულის დამწერლობით ფორმაში მან განიცადა საინტერესო სემანტიკური ცვლილება. თანამედროვე თურქულში იგი იხმარება “მონყენის, წყენის“ მნიშვნელობით.

შეგვიძლია მსგავსი სხვა მაგალითებიც მოვიყვანოთ. შესაბამის თავში ჩვენ მიერ შესწავლილი რამდენიმე ზმნა იქნა შედარებული ორ დიალექტში მნიშვნელობების მიხედვით.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თურქულ ხალხურ კილო-კავებსა და აზერბაიჯანული დამწერლობის ენაში გამოყენებულ მნიშვნელობათა შორის არ ფიქსირდება დიდი განსხვავება. აქ მეთია სემანტიკური მსგავსებები. განსაკუთრებით ცხადია ეს ზმნებთან მიმართებაში. ცნობილია, რომ თურქულის აღმოსავლური კილო-კავები ერთობ დიდ მსგავსებას ავლენენ აზერბაიჯანულთან. აზერბაიჯანულის მსგავსი კილო-კავების

გავრცელების არეალია ყარსიდან დანწყებული სამსუნ-სივასის რეგიონების ჩათვლით. რიგ შემთხვევაში იგი ანატოლიის ცენტრალურ ნაწილებამდეც აღწევს.

თურქულ კილო-კავებსა და აზერბაიჯანის თურქულს შორის სემანტიკური და მორფოლოგიური მსგავსებების მაგალითებია:

Aparmak(დაშორება, წაღება), *danmak*(უარყოფა), *danlamak*(განცვიფრება), *dermek*(მოკროვება), *kayıtmak*(დაბრუნება), *kaytarmak*(გამოტოვება, გადახტომა), *yozmak* (გაფუჭება), *yortmak* (ხეტიალი).

ზემოთ მოყვანილი ზმნებიდან *Aparmak*(დაშორება, წაღება) (*Uş, İsp, Brs, İğ, Es, Çr, Rz...*), *danmak*(უარყოფა) (*Ky, Dz, Ks, To, Gr, Ank*), *danlamak*(განცვიფრება) (*Dy, Çr, Mr,*); *dermek*(მოკროვება) (*Ist, Ky, İç, Mğvb.*) *yortmak*(ხეტიალი) (*Ky, Nğ, İç*) ზმნები თურქულის კილო-კავებში გამოიყენება იმავე მნიშვნელობებით, როგორც ისინი იხმარება თანამედროვე ლიტერატურულ აზერბაიჯანის თურქულში.

ზმნები *Yozmak*(*Tk, İsp, Brd, Zn*); *kaytarmak*(*Kü, İsp, Brd, Mn, İç, Kn*) კი ლიტერატურულ აზერბაიჯანულში განსხვავებული მნიშვნელობებით გამოიყენებიან.

ყოველივე ხსენებულიდან გამომდინარე ამკარაა, რომ თურქეთის თურქულსა და აზერბაიჯანის თურქულს შორის არსებობს რიგი ობიექტური განსხვავებები.

ამ განსხვავებათა მიზეზებზე ზემოთ უკვე გვექონდა საუბარი. ასევე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აღმოსავლეთ ანატოლიურ კილო-კავებსა და აზერბაიჯანულს შორის მრავალი მსგავსება არსებობს.

მიუხედავად აღნიშნული განსხვავებებისა, კვლევის შედეგად შეგვიძლია შემდეგი დასკვნა გამოვიტანოთ:

აზერბაიჯანულმადა თურქეთის თურქულმა დღემდე იარსება როგორც ერთი ჯგუფის ორმა განშტოებამ და მათ შორის განსხვავებების მიზეზია რიგი ისტორიული, პოლიტიკური და სოციალური ფაქტორები. მათ არსებობა უწევდათ ორ განსხვავებულ კულტურულ სივრცეში, რის შედეგადაც ისინი ჩამოყალიბდნენ როგორც ორი განსხვავებული დამწერლობის მქონე ენები. სწორედ ჩემს მიერ შერჩეულმა და გამოკვლეულმა ზმნების

ფონეტიკურმა, სტრუქტურულმა და სემანტიკურმა ანალიზმა დამარწმუნა ამ ვარაუდის ობიექტურობაში.

1.2 ზმნების შედარებითი ანალიზი

APARMAK

თურქეთის თურქული. *aparmak (-i) hlk.*

1. *Almak, alıp götürmek* (წაღება, აღება);

2. “*უარგონი. Gizlice almak, alıp kaçmak, çalmak* (ფარულად რაიმეს აღება, მოპარვა);

Sözgeçenparahehmiyetsizbirşeydi vemüdürmüavini, onu çok ustalıklaparmıştı. ² “

[*TürkçeSözlük*, Ankara 2005, s.107.]

(-H.Taner) (ის ფული უმნიშვნელო რაოდენობისა იყო და დირექტორის მოადგილემ იგი ოსტატურად მოიპარა).

აზერბაიჯანის თურქული. *Aparmaq* (რაიმეს ხელში აღებით მისი სხვა ადგილას გადატანა, მიტანა, წაღება) 1. *Birşeyi əlinə götürərək yaxudda lınayükləyə rək bir yerdən başqa yerə köçürmək, Gətirmək. Uşağı qucağında aparmaq. Yükü dalında aparmaq.*

// *Daşımaq, nəql etmək. Qatar çox luyü kapardı. Qarışqadən aparır.* (მატარებელმა დიდი ტვირთი წაიღო).

2. *Birinin hərəkətini yönəltmək, yol göstərmək, Özü bərabər yeriməsinə kömək etmək, yaxud getməyə məcbur etmək, Özü ilə bərabər gətirmək* (ვინმესთვის მიმართულების მიცემა, გზის ჩვენება, გაგზავნა, ვინმესთან ერთად წასვლა) *Qocanın qolunda tutub apardı-ქმარს ხელი ჩაჰკიდა და წაიყვანა.*

3. *Özü ilə bərabər götürüb getmək* (ვინმესთან ერთად წასვლა). *Kötüyü çay apardı.*

4. *Oğurlamaq, qaçırmaq, alıb qaçmaq* (ვინმეს/რაიმეს წაღება, წაყვანა, გატაცება) *Oğruların əyitöylədən apardılar* (ქურდებმა ძროხა მოიპარეს).

² *TürkçeSözlük*, Ankara 2005, s.107.

5. *məc.* Udmaq, qazanmaq, qalibgəlmək (oyunda, məhkəmədə) – (მოგება, სასამართლოში საქმის) *Məhkəmədəşi hansitərəfapardı?–Kimoxusaaparıbdır.* (M.Cəlal) – (რომელმა მხარემ მოიგო სასამართლო პროცესი?)

6. *məc.* Yoxetmək, silib təmizləmək, çıxarmaq. (მოცილება, წაშლა)
Paltarın ləkəsinin benzinlə aparmaq olar. (ტანსაცმლის ლაქების მოშორება ბენზინით შეიძლება)

7. *məc.* *Məhvətmək, yoxetmək, xarabətmək, dağıtmaq.* (განადგურება, იავარქმნა, დამტვერვა)
Əkinləridonapardı - ნათესები ყინვამ გაანადგურა.

8. *Sərf edilməsinə işlənməsinə, səbəb olmaq.* (დროის, ენერჯის წართმევა)
Bu işbeşgün vaxtımapardı - ამ საქმემ ხუთი დღე წამართვა.

9. *məc.* Qoparmaq, yemək, kəsmək, xarabətmək. Sürtüb aparmaq. (მონყვეტა, შეჭმა, მოჭრა, განადგურება) *Barmağının başınımaşının çarxiapardı.* (თითის წვერი მანქანის თვალმა მოავლიჯა)

10. *Həyata keçirmək, yeritmək. Mübarizə aparmaq; Təbliğat aparmaq.* (რაიმეს განხორციელება, პროპაგანდირება, ომი)

11. *İdarə etmək, başda durmaq, rəhbərlik etmək. Əsgerləri yürüşə aparmaq.* (რაიმეს მართვა, კონტროლი, ხელმძღვანელობა)

12. *məc.* *Bihuş etmək, məst etmək, yuxulatmaq. Musiqinin sesiməniapardı.* (სწავლა, გადაჭარბება, მიძინება) - *მუსიკის ხმამ მე დამაძინა.*

13. *Aparıb çıxarmaq, gətirib çıxarmaq, yöneltmək. Buyolharaya aparır?–* *გაყვანა, მიმართულების მიცემა) - ამ გზას სად მივყავართ?*

// *məc.* *Sürükləmək, səbəb olmaq, gətirib çıxarmaq. Fəlakətə aparmaq.* (რაიმეს წათრევა, მიზეზი, გამოტანა) - *უბედურების მიზეზად ვახდობა.*

14. *”Birsıra isimlərə qoşularaq mürəkkəbfə’lvə mühtəlif fədələrdüzəldilir: ³ Yuxu aparmaq, fikir aparmaq, qanaparmaq;”* (ტვირთის წაღება, აზრის გამოტანა, სისხლის აღება)
[Azerbaycan Dilinin İzahlı Lüğəti, Bakü 1964, s. 112]

³ *Azerbaycan Dilinin İzahlı Lüğəti, Bakü 1964, s. 112*

წყობა: *aparmak* E.T.Y; K.B; D.L.T; N.F. სახითაა მოცემული. ზმნა *aparmak* თურქულის ლექსიკონში 1, გვ. 177); Kam.T. **آپارماق**

მნიშვნელობა: თურქეთის თურქულში *aparmak* ზმნა გამოიყენება ყველა თავისი მნიშვნელობით როგორც სასაუბრო, ასევე წერილობით ენაში.

აზერბაიჯანის თურქულში კი ზმნა გამოიყენება ზემოთ ნაჩვენები მნიშვნელობებით ორივე ტიპის ენაში.

ზმნის ფუძე: ზმნამ *Aparmak*, რომელსაც გააჩნია ფუძე *alip-bar*, განიცადა შემდეგი სახის ფონეტიკური ცვლილება: *alipbar-, (a)lipber-, apar-*. აღნიშნული ზმნისგან (*alip-bar*) სხვა თურქულ ენებში წარმოიშვა ზმნა *apar-*-ის განსხვავებული ფორმები.

უიგურული *appar-*, ყაზახურ და ყარაკალპაკურ ენებში გამოიყენება ფორმით *alipbar-, appar-, alipkel-*, რომელთა შეერთებითაც ნაწარმოებია ზმნა *akel-*. როგორც კვლევები ცხადყოფს, ზმნა *apar-* თურქული ენის ყველა ძველ დიალექტში არ ყოფილა ფუნქციური დატვირთვის მქონე ზმნა და იგი სხვა ზმნების შეერთების გზით წარმოიშვა როგორც ლექსიკური ერთეული. ძველი დამწერლობის ნიმუშებში ზმნა *apar-* არ გვხვდება. მის ნაცვლად გამოიყენებოდა მსგავსი მნიშვნელობის მქონე ზმნა *ilet-* (ორჰონის ნაწერებში და სხვა წერილობით წყაროებში).

AKTARMAK (გადაცემა)

თურქეთის თურქულში *aktarmak (-i, -den, -e)* 1. *Bir yerden veya bir kaptan bir kabageçirmek, nakletmek, devretmek* (ერთი ადგილიდან მეორე ადგილას რაიმეს, ვინმეს, გადაყვანა, გადატანა);

2. *Alt üst etmek, karıştırmak* (შერევა, აღრევა)

3. *Toprağı altı üstüne gelecek şekilde bellemek, sürmek* (მიწის მოფოცხვა, დამუშავება)

4. *Çatıkiremitleriniyenidendüzene koymak, kırıkolanlarınıyenilemek; Mehmet*

Ağa'nıneviakmışonuaktarmakiçindamaçıktım. (M.A.Ersoy, Safahat) – (სახურავის კრამიტების მწყობრად დალაგება, განახლება; - მეჰმეთ ალას სახლის სახურავის კრამიტები დავალაგე;

5. Bir kitaptan veya bir metinden bir bölüme olmak - წიგნიდან/ტექსტიდან რაიმე ნაწილის ამოღება;

6. Ulaştırmak, bildirmek - რაიმეს მიწოდება, ინფორმაციის მიწოდება

7. "Bir eseri bir dilden başka bir dile uygulamak. - ნაწარმოების ერთი ენიდან მეორეზე გადათარგმნა."⁴[*Örnekleriyle Türkçe Sözlük*, 2000, I c, s.80.]

აზერბაიჯანულში axtarmaq 1. Gizli yaxud gizlədilmiş və yitmiş bir şeyi tapmağa, üzə çıxarmağa çalışmaq, // Görməyə tapmağa çalışmaq; *Axtarantapar*. (Ata.Sözləri) *Hər kəs özyerini axtarı, tapır və əyləşirdi*. (S.Rəhimov) - დაკარგული, გადანახული რაიმეს პოვნა, გამოაშკარავება;

2. Əldə etməyə çalışmaq. // arzu etmək, bir şeyin olmasına, əmələ gəlməsinə, baş verməsinə çalışmaq. - ხელში ჩაგდება მცდელობა, რაიმეს სურვილი, რაიმეს გამოაშკარავების მცდელობა;

3. Yoxlamaq, araşdırmaq, müayinə etmək. *Ciblərini axtarmaq*. - რაიმეს მოძიება, ძებნა;

4. Ummaq, gözləmək. *Ondan ədəb axtarırsan?* - დალოდება, ლოდინი - მაშინ რას ელოდები?

5. *məc. Həddindən artıq fikir vermək - Böyük şeylərə fikir vermir, amaxırdə şeyləri axtarır* - გაზვიადებული მოსაზრებები - მნიშვნელოვან საკითხებზე აზრს არ გამოთქვამს მაგრამ უმნიშვნელო რამეებზე ყოველთვის აფიქსირებს პოზიციას.⁵

წყობა: K.B; E.T.Y; Aktarmak, ahtarmak, aǧdarmak (Tar.S.Ic, s.76)

მნიშვნელობა: აზერბაიჯანულ თურქულში ნიშნავს, დამალული, დაკარგული რამის პოვნას, გამოაშკარავებას, რაიმეს მოპოვების მცდელობას. თურქეთის თურქულში ზმნას არ გააჩნია აღნიშნული მნიშვნელობები.

ზმნის ფუძე: *Aktarmak* ზმნის ფუძე ვ.ვ. რადლოვის მიხედვით არის დღემდე ალთურ, ჰაკასიურ და თუვალურ დიალექტებში გამოყენებული ზმნა *andar* (ძებნა). დღესდღეობით თურქეთის თურქულში გამოყენებული ფორმა *aktar* წარმოქმნილია ფუძე *aǧdar*-იდან. *-tar, dar*' სუფიქსები წარმოადგენს კაუზატიური ფორმის სუფიქსებს. ისინი დამხმარე ზმნის დანამატ ერთეულებს წარმოადგენენ.

⁴ *Örnekleriyle Türkçe Sözlük*, 2000, I c, s.80.

⁵ *Azerbaycan Dilinin İzahlı Lüğeti*, Bakü 1964, I c, s. 150-151.

დერვივატივები: TT. Aktarma (გადატანა), aktarmacılık (გამტარიანობა), aktarmasız (გაუმტარი), aktarmalı (გადაჯდომით).

აზერბაიჯანის თურქული. axtarılan, axtarılmaq, axtarış, axtarışmaq, axtarışçı, axtarma, axtartmaq (იგივე მნიშვნელობებით).

დამატებითი ცნობები:

თურქეთში გავრცელებულ კილო-

კავებში: 1. Birşeyi altüstetmek, karıştırmak, savurmak, boşaltmak, devretmek, çevirmek (Af, Isp, Brd, Dz, Ay, Çnk, Kü, Es, Zn, Sm, Gr, Mr, Gaz, Yz, Ky, Nğ, Kn, İç, Ant.) - რაიმეს აღრევა, ერთმანეთში შერევა, დაცლა, გადაყირავება, ამოტრიალება;

2. Tarlayı sürerek toprağı kabartmak (Bar, Zn.) - მიწის დახვნა-დამუშავება;

3. İletmek, göndermek (Isp.) - გადაცემა (ინფორმაციის, ამბის)

ATIŞMAK (სროლა, ჩხუბი)

თურქეთის თურქულში. atışmak (*nsz, -le*)

1. Ağız kavgası etmek - სიტყვიერი დაპირისპირება, კამათი;

2. (*nsz, -e*) Kendisini dargın olan bir kimseye barışık mı şgibi söz söylemek; *Nafile*

atışma benseninle barışmam. - ცუდი ურთიერთობის მიუხედავად ვინმესთან მშვიდობიანი დამოკიდებულების გამოხატვა;

3. “*Saz şairler Belli bir ayak üzerine karşılıklı deyiş söylemek.* - შაირობისას საპირისპირო კუპლეტების წარმოთქმა.” [Türkçe Sözlük, 1988, I c, s. 102-103.]

აზერბაიჯანის თურქული. atışmaq 1. Garşı-garşı yadurub, bir-birinə güllə atmaq. *Adamlar həmişə qorxurdular ki, busaat qoçular atışacaq və araday oldan keçəntəqsirsiz adamlar güllə deyəcəklər.* (Sarabski) - ერთმანეთის პირისპირ დგომა და ტყვიის დახლა/სროლა.

2. Atışda, nişancılıqda yarışmaq - სროლაში, დამიზნებაში შეჯიბრი.

3. *məc. (dan)* Bir-birinə ağır sözlərdəmək, söyüşmək, dalaşmaq. *Onlar bir-biri ilə*

bərk atışdılar - ერთმანეთისთვის შეურაცხყოფის მიყენება, ცუდი სიტყვების ძახილი .⁷

წყობა:K.B;E.T.Y.;N.F;Rad.Söz.var;atışmak(Tar.S.Ic,s. 275); D.L.T.آتیشدی;(I c,s.180-11);

Kam.T.آتیشدق

მნიშვნელობა:აზერბაიჯანის თურქულში გამოყენებული მნიშვნელობა (პირისპირ დგომა და ერთმანეთისათვის ტყვიის დახლა) არ გამოიყენება თურქეთის თურქულში.

ზმნის ფუძე: აღნიშნული ზმნა თურქული წარმოშობისაა. წარმოიქმნა ზმნა *Atmak'tanat-ı-şmak(atışmak)* - ერთმანეთის მიმართულებით რაიმეს სროლა.

Karşılıklı atışdılar - თრაბა შეიძლება ნიშნავდეს დაპირისპირებას, ქმშობასაც .

თურქულში სუფიქსები *iş/üş/uş* (*yarışmak,karışmak,barışmak,sarışmak,duruşmak,vuruşmak*)

აღნიშნავს ორ სუბიექტს შორის განხორციელებულ ქმედებას. ⁸

დერივატივები: თურქეთის თურქულში. *atış, atışma*. აზერბაიჯანის თურქულში. *atış, atışma*. - სროლა (ერთიმეორის მიმართულებით)

დამატებითი ცოდნა:თურქეთის დიალექტებში ნიშნავს გაშირებას, პოეტურ შეჯიბრს (ხუმრობას).

ALDIRMAK

T.T.aldırmak 1.აღებინება.

2.Getirtmek:*Biziyanınaaldır.* (R.H.Karay) - ჩვენი თავიც წააყვანინე მასთან.

3.ოპერაციის გზით რომელიმე დაზინებული ორგანოს მოშორება. *Bademcikaldırmak, Çocukaldırmak;* - გლანდების ამოღება, ბავშვის მოცილება

4. მნიშვნელობის მინიჭება, ყურადღების მიქცევა(გამოიყენება უარყოფით კითხვით ფორმებში)

5. ახლობელი ადამიანის დაკარგვა და სხვის მიერ მისი წართმევა.

⁷ *Azərbaycan Dilinin İzahlı Lüğəti*, Bakü 1964, I c, s.141

⁸ İsmet Zeki Eyuboğlu, *Türk Dilinin Etimoloji Sözlüğü*, 2004, s.48.

Aldırdım gülyüzlü yarielimden

Divanegönlümün larmı kıldı (Aşık Halil 17 y.y.)

6.რაიმეში ჩატევა, მოთავსება. *Bunca eşyayı bu küçücükü kevenası aldırдыңız?* - ამდენი ნივთი ასეთ პატარა სახლში როგორ დაატეთ?

Aldır^r yapmak, önemsememek, takmamak - ყურადღების არ მიქცევა, გაუთავისებლობა.⁹

აზერბაიჯანის თურქულში. *aldırmaq* *icb.* 1. ვინმესთვის რაიმეს ალების იძულება: *Bukitabı ona mənaldırdım* - ეს წიგნი მას მე ავალებინე.

2. *Başqasının vasitəsilə almaq, almağaməcburetmək. Bir adam olsaydı, bazardan göyərti aldırardıq.* (Çəmənzəminli) - სხვისი მეშვეობით რაიმეს ალება, ალების იძულება.

3. *Çəkdirmək.* (Səlim) *tə'lim zamanı Kərimlə birlikdə aldırдыңız qoşaşəkildə qoydu.* (S.Rəhimov) -

4. *Üzdən kəsdirmək, götürmək*¹⁰ (qayçı, və s. ilə) - ზედაპირიდან რაიმეს ალება, წაღება.

წყობა: N.F. **أَلْدَرْدِي** (1m.325-4); K.B; D.L.T; E.T.Y;

. Tar.S. *aldırmaq, aldurmak*; (1c.s.99); Kam.T. **أَلْدَرْدِي**

მნიშვნელობა: თურქეთის თურქულში ნიშნავს დაზიანებული ორგანოს ოპერაციის მეშვეობით მოშორებას, ამოღებას. ამ მნიშვნელობით არ გამოიყენება აზერბაიჯანის თურქულში.

ზმნის ფუძე: ზმნა *Aldırmaq* წარმოქმნილია ზმნიდან *al(mak)* (ალება). ზმნა თურქული წარმოშობისაა. *-dır* სუფიქსის დამატებით იქნის შემდეგ მნიშვნელობას: ალებინება: *Al-dır*.

დერივატივები: თურქეთის თურქულში. *aldırılmazlık, aldirış, aldirışsız, aldirma, aldirtmak* - ყურადღების არ მიქცევა, გულთან ახლოს მიტანა, უინტერესო.

აზერბაიჯანულ თურქულში. *aldirma, aldirmamaq.* (იგივე მნიშვნელობით

დამატებითი ცნობა:

თურქეთის დიალექტებში:

1. ცხოველის ერთ მხარეს მძიმე ტვირთის აკიდება, მეორე მხარის კი მჩატედ დატოვება (Brd, Af, Marmaris, Mğ.)

2. Hamlatmak, yormak (Uğurlu, Ermenek, Kon.) - დაჟანგვა, დაღლა;

3. ორი ნაწილის ერთმანეთთან შეკავშირება (Afşin, Mr.)

4. სიმღერის წამღერება, ამოჩემება (Düz, Bo.)

5. საკუთარი თავის მოწონება (Ger, Bol.)

ჩატარებული კვლევის შედეგად ჩვენ მიერ შესწავლილ ზმნებს შორის გამოვლინდა შემდეგი სახის ფონეტიკური და სემანტიკური სხვაობები:

ზმნებს შორის ფონეტიკურისხვაობები:

d/t ბგერების ცვლილება თურქ. *dikmek*- აზერ. *tikmek*

ğ/y ბგერების ცვლილება: თურქ. *değirmek*- აზერ. *deyinmek*

e/ö ბგერების ცვლილება: თურქ. *gevşemek*- აზერ. *gövşemek*

k/x(h) ბგერების ცვლილება: თურქ. *Aktarmak*- აზერ. *axtarmak*

k/x ბგერების ცვლილება: თურქ. *Saklamak* - აზერ. *saxlamak*

k/h ბგერების ცვლილება: თურქ. *Okşamak* - აზერ. *oxşamak*

k/q ბგერების ცვლილება: თურქ. *Kayıtmak* - აზერ. *qayıtmaq*

k/q ბგერების ცვლილება: თურქ. *Kayırmak* - აზერ. *qayıрмаq*

k/q ბგერების ცვლილება: თურქ. *Kaytarmak* - აზერ. *qaytarmaq*

k/q ბგერების ცვლილება: თურქ. *Koşmak* - აზერ. *qoşmaq*

t/d ბგერების ცვლილება: თურქ. *Bastırmak* - აზერ. *basdırmak*

t/d ბგერების ცვლილება: თურქ. *Gütmek* - აზერ. *güdmek*

t/d ბგერების ცვლილება: თურქ. *Tartmak* - აზერ. *dartmaq*

t/d ბგერების ცვლილება: თურქ. *Tartışmak* - აზერ. *Dartışmak*

სემანტიკური სხვაობები

დღესდღეობით თურქულსა და აზერბაიჯანულში როგორც ლიტერატურულ, ასევე დიალექტებში გამოიყენება ფორმით იდენტური, თუმცა განსხვავებული მნიშვნელობის მქონე 36 ზმნა.

ამასთანავე, თურქულში მხოლოდ კილო-კავებში გამოიყენებული, ხოლო აზერბაიჯანულში როგორც ლიტერატურულ ენაში, ასევე კილო-კავებში გამოიყენებული 8 ზმნა ფიქსირდება.

ზმნა *okşamak* საერთო მნიშვნელობით გამოიყენებოდა როგორც თურქულში, ასევე აზერბაიჯანულში (მსგავსება), თუმცა თანამედროვე ლიტერატურულ თურქულში აღნიშნული მნიშვნელობა დაიკარგა.

კიდევ ერთი ამგვარი ზმნაა *yapmak* (კეთება, გაკეთება). ძველ თურქულში ზმნას გააჩნდა ერთი მნიშვნელობა ('*hazırlamak*' - მომზადება). აღნიშნული მნიშვნელობით იგი გამოიყენებოდა აზერბაიჯანულში, მაგრამ დღესდღეობით არ არის გამოყენებაში. ზმნათა შორის სემანტიკური სხვაობები კავშირშია მათი ფუძეების ცვლილებასთან. მაგალითად: ზმნა *Azmaq* (აღფრთოვანება, აღგზნება) თურქულში თავდაპირველი მნიშვნელობით გამოიყენება, ხოლო აზერბაიჯანულში მისი მნიშვნელობა გაფართოვდა. აზერბაიჯანულში იგი აღნიშნავს გზის დაკარგვას, არევას.

კიდევ ერთი ასეთი ზმნაა *aktarmak* (გადაცემა, ტრანსფერი). დღევანდელ აზერბაიჯანულში მისი მნიშვნელობაა "ძებნა". თურქულში კი მან დამატებითი მნიშვნელობა შეიძინა და "რაიმეს ერთი ადგილიდან მეორე ადგილას გადატანა"-ს აღნიშნავს.

ზმნა *Danışmak* დღესდღეობით თურქულში გამოიყენება შემდეგი მნიშვნელობით: "ვინმესგან რჩევის/ინფორმაციის მიღება". აზერბაიჯანულში კი ეს მნიშვნელობა შეიცვალა და ფართო გაგებით "საუბარს", "თქმას" ნიშნავს.

კიდევ ერთი ასეთი ზმნაა *gevşemek*. აზერბაიჯანულში მისი მნიშვნელობაა "ღეჭვა". თურქულში კი გამოიყენება "დარბილების", "სიმკვრივის შერბილების" მნიშვნელობით.

ზმნა *Tapmak*-ის მნიშვნელობა დღევანდელ თურქულში არის “სურვილი, ნდობა, მცდელობა“. აზერბაიჯანულში კი ასეთი მნიშვნელობა არ მოიპოვება. აზერბაიჯანულში იგი აღნიშნავს “დაკარგულის პოვნას“.

თავი 2

აზერბაიჯანულთურქულში ზმნის კონიუგაცია (უღლება)

არსებითი სახელის, ზმნის და სიტყვის ნაწილაკების კლასიფიკირების თაობაზე XII-XVIII საუკუნეებში შექმნილი ნაშრომები, რომლებიც ეხებოდა ენათმეცნიერულ საკითხებს, მათი რაოდენობა შეადგენს ოცს, ხოლო რაც შეეხება მწერლებს ისინი არიან არაბული წარმომავლობის ან სავარაუდოდ მუსლიმური გეგავლენის ქვეშ მყოფნი.

აზერბაიჯანულთურქულში დადებითი და უარყოფითი ზმნის კონიუგაცია, შემეცნებით-ენობრივი მეთოდით პირველად იქნა კატეგორიებად დაყოფილი: ზმნის კონიუგაციის -1b-იანი (ია-ნი მაგ: უმუშავ-ია, უსწავლ-ია) შესწავლილი წარსული დრო, *malı+olmak* (იყოს+ყოფნა) საჭიროების რიგის მახასიათებლები და -*mı* კითხვითი ნაწილაკის მქონე შეერთებული წინადადების მოდელეებში არსებული რიგი ქმედებებია განსაზღვრული.

ზმნის კონიუგაცია თურქეთის თურქელის სხვა ოღუზ ჯგუფის ენებთან (ოღუზ: თურქმენების, აზერბაიჯანელების, გაგავუზების და თურქეთის თურქების ერთად სახელწოდება) შედარებით კონტექსტში იქნა განხილილი (ადამოვიჩი 1985: 80; 110; 114; 129-132; 142-145; 155) თურქეთის თურქულში თანამედროვე სტრუქტურის ენათმეცნიერების თვალსაზრისით სემანტიკური და ფუნქციური აღწერის მეთოდებით იქნა განხილული (დემირჯან 2003; ჯორჩუ 2005: 33-44)

1970 წლიდან მოყოლებული ენათმეცნიერული სიახლეები და მეთოდების ამგვარი გამოყენება თურქულ სამწერლობო ენებთან დაკავშირებით ჩატარებული ენათმეცნიერული კვლევების ფართო აკადემიური წრისათვის და თურქელის უფრო მეტად კლასიკურად წარმომჩენი განათლებისა და სწავლოების მიმართულებით არ წარმოებულა. ხსენებულ კვლევებში, ზმნის კონიუგაციის არც კონკრეტულ თურქულ სამწერლობო ენასთან და არც შესადარებელ თურქულ სამწერლობო ენებთან და

